EN RU

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის
6 ივლისის №732 დადგენილებით

სტუდენტის ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები*

შეფასების ფორმა	მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები
ყოველკვირეული შუალედური შეფასება	ყოველკვირეული შუალედური შეფასება იძლევა ახსნილი მასალის ცოდნის გამოვლენის შესაძლებლობას. შემოწმება ხდება სხვადასხვა სახით: ტესტი (ღია ან დახურული კითხვები)[1], კაზუსი, საკითხები, საშინაო დავალება და სხვ. იგი ტარდება წერილობითი ფორმით. ყოველკვირეული შეფასების შესაძლო მაქსიმუმი შეადგენს ორ ქულას. **ტესტირება დახურული კიხვებით.** ტესტი მოიცავს 4 მაგალითს, სწორად ამოხსნილი თითოეული მათგანი ფასდება 0,5 ქულით, არასწორი პასუხის შემთხვევაში შეფასება შეადგენს 0 ქულას. თითოეულ მაგალითს აქვს რამდენიმე სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. **შეფასება ღია კითხვებიანი ტესტით ან საკითხებით (კაზუსებით)**. თუ შეფასება ხდება ერთი საკითხით (მაქსიმუმ 2 ქულა), შეფასების კრიტერიუმებია: 1. 1.5-2.0 ქულა. პასუხი სრულია. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული, ტერმინოლოგია დაცულია, სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა, შეცდომები არ არის. კაზუსი უნაკლოდ არის ამოხსნილი, მსჯელობა მაღალ დონეზეა. 2. 1.0-1.5 ქულა - პასუხი სრულია, თუმცა შეკვეცილი, ტერმინოლოგიურად გამართულია, არსებითი შეცდომები არ არის. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. მსჯელობა კარგია. 3. 0.5-1.0 ქულა - პასუხი არასრულია. ტერმინოლოგია ნაკლოვანია. სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება ნაკლოვანებები. მსჯელობა ფრაგმენტულია. 4. 0.1-0.5 ქულა - პასუხი ნაკლოვანია. არ არის გამოყენებული სპეციალური ტერმინოლოგია. პასუხი არსებითად მცდარია, გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. 5. 0 ქულა - პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული. ორი საკითხით შეფასების შემთხვევაში (თითოეული მაქსიმუმ 1 ქულა), შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს ზემოთ მოცემულის ანალოგიურად. **ყოველკვირეული შუალედური შეფასება შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ტიპის საშინაო დავალებითაც.** მაგალითად, ნახატის, ნახაზის, ესკიზის შესრულება, ლაბორატორიული სამუშაოს აღწერა, მაგალითების, ამოცანების ან კაზუსების ამოხსნა, საკურსო სამუშაოს/პროექტის, პრაქტიკის ანგარიშის ნაწილის წარმოდგენა, აგრეთვე საკითხის ან პრობლემის შესახებ მასალისა და პრეზენტაციების მომზადება, ან/და ინფორმაციის მოძიება (სტატია, განმარტება, წიგნი, ინტერვიუ, გამოკითხვა) და სხვ.

[1] *ღია კითხვა – კითხვის სახეობა, რომელიც არ სთავაზობს სტუდენტს პასუხების შესაძლო ვარიანტებს. დახურული კითხვა – კითხვის სახეობა, რომელსაც თან ახლავს პასუხების სავარაუდო ვარიანტები.*

	საშინაო დავალება სტუდენტმა უნდა მოამზადოს დამოუკიდებლად და წარმოადგინოს წერილობით ან დავალებაში მითითებულ სხვა ფორმით. **თუ საშინაო დავალება მოცემულია წერილობითი ფორმით**, მისი მაქსიმალური შეფასებაა ორი ქულა და ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: 1. 1.6-2.0 ქულა - დავალება სრულად არის შესრულებული. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული. სპეციალური ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს გავლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა. შეცდომები არ არის. კაზუსი უნაკლოდ არის ამოხსნილი. მსჯელობა მაღალ დონეზეა. 2. 1.1-1.5 ქულა - დავალება სრულად არის შესრულებული, თუმცა შეკვეცილი. ტერმინოლოგიურად გამართულია. არსებითი შეცდომები არ არის. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ გავლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. მსჯელობა კარგია. 3. 0.6 -1.0 ქულა - დავალება არასრულად არის შესრულებული. სპეციალური ტერმინოლოგია ნაკლოვანია. სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება ნაკლოვანებები. მსჯელობა ფრაგმენტულია. 4. 0.1–0.5 ქულა - დავალების შესრულება ნაკლოვანია. სპეციალური ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული. პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია დავალების შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. 5. 0 – შესრულება დავალების შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული. **თუ საშინაო დავალება გულისხმობს ნახაზის/ესკიზის შესრულებას**, ის ფასდება მაქსიმუმ ორი ქულით შემდეგი კრიტერიუმებით: 1. 1.6-2.0 ქულა – შესრულების თვალსაზრისით ნაშრომი სრულია. იგი სრულად არის დამუშავებული ზომების მითითებით. შესრულებულია მაღალ დონეზე. 2. 1.1–1.5 ქულა – შესრულების თვალსაზრისით ნაშრომი სრულია. იგი სრულად არის დამუშავებული ზომების მითითებით. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ გავლილ მასალას, მაგრამ შესრულების ტექნიკა დასახვეწია. 3. 0.6–1.0 ქულა – შესრულების თვალსაზრისით ნაშრომი არასრულია. იგი სრულად არის დამუშავებული, მაგრამ ზომები არ არის მითითებული. 4. 0.1–0.5 ქულა - შესრულების თვალსაზრისით ნაშრომი ნაკლოვანია. მისი მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია დამუშავებული. ზომები არ არის მითითებული. 5. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო დავალების შესრულება.
შუალედური გამოცდა	შუალედური გამოცდის დროს სტუდენტს ევალება გავლილი მასალის ცოდნის გამოვლენა. შემოწმება ხდება წერილობითი ფორმით და შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მეთოდით: ტესტით (ღია ან დახურული კითხვები), მაგალითების, ამოცანების ან კაზუსების ამოხსნით, თეორიული საკითხებით, საკურსო სამუშაოს/პროექტის, პრაქტიკის ანგარიშის ნაწილის წარმოდგენით, ნახატის, ნახაზის, კლაუზურას შესრულებით, ლაბორატორიული სამუშაოს აღწერა/ჩატარებით და სხვ. შუალედური გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 20 ქულა.

	შუალედური გამოცდა დახურული კითხვებიანი ტესტით. იგი მოიცავს 10 (ან 20) მაგალითს. სწორად ამოხსნილი თითოეული მათგანი ფასდება შესაბამისად 2 (ან 1) ქულით, არასწორი პასუხის შემთხვევაში შეფასება შეადგენს 0 ქულას. დახურული კითხვების შემთხვევაში თითოეულ მაგალითს აქვს რამდენიმე სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. **შუალედური გამოცდა ღია კითხვებიანი ტესტით ან საკითხებით.** შეფასება ხდება 4 საკითხით, თითოეულს მინიჭებული ექნება მაქსიმუმ 5 ქულა. საკითხის შეფასების კრიტერიუმებია: 1. 4.1–5 ქულა - პასუხი სრულია. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული. სპეციალური ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს გავლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა. შეცდომები არ არის. მსჯელობა მაღალ დონეზეა. 2. 3.1–4 ქულა - პასუხი სრულია, თუმცა შეკვეცილი. ტერმინოლოგიურად გამართულია. არსებითი შეცდომები არ არის. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ გავლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. მსჯელობა კარგია. 3. 2.1–3 ქულა - პასუხი არასრულია. სპეციალური ტერმინოლოგია ნაკლოვანია. სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება ნაკლოვანებები, მსჯელობა ფრაგმენტულია. 4. 1.1–2 ქულა - პასუხი არასრულია, ტერმინოლოგია მცდარია, საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ. სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ლიტერატურა. აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა 5. 0.1–1 ქულა - პასუხი ნაკლოვანია. სპეციალური ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული. პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. 6. 0 ქულა. პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული; თუ რომელიმე საკითხი წარმოადგენს ანგარიშს ან გრაფიკულ გამოსახულებას, მას მინიჭებული აქვს 5 ქულა და მისი შეფასების კრიტერიუმებია: 1. 4.1-5 ქულა: ანგარიში ჩატარებულია სრულყოფილად, გრაფიკული ნაწილი გაფორმებულია სტანდარტების დაცვით. 2. 3.1-4 ქულა: ანგარიში ჩატარებულია სრულყოფილად, გრაფიკული ნაწილი დასახვეწია. 3. 2.1-3 ქულა: ანგარიში დასამთავრებელია, გრაფიკული ნაწილი დასახვეწია. 4. 1.1-2 ქულა: აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა როგორც ანგარიშში, ასევე გრაფიკულ ნაწილში. 5. 0.1-1 ქულა: ანგარიში და გრაფიკული ნაწილი არსებითად მცდარია. 6. 0 ქულა: ნაშრომი არ არის შესრულებული. **შუალედური გამოცდა კლაუზურით.** შეფასება ხდება შემდეგნაირად: **ა) კლაუზურა – მაქსიმალური ქულა 20** **1. საპროექტო დავალების პირობების დაცვა პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით – მაქსიმალური ქულა 4** 1.1. 3.1-4 ქულა – საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით სრულია. მასშტაბი დაცულია. კომპოზიციური განაწილება კარგია. წარმოდგენილია მაღალ დონეზე.

	1.2. 2.1-3 ქულა – საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით სრულია. მასშტაბი დაცულია, მაგრამ კომპოზიციური განაწილების მხრივ აღინიშნება ნაკლოვანებები. 1.3. 1.1-2 ქულა – საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით არასრულია. მასშტაბი დაცულია, მაგრამ პროექტის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია გამოხაზული. 1.4. 0.1-1 ქულა – საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით ნაკლოვანია. პროექტის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია გამოხაზული. მასშტაბი დარღვეულია. 1.5. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო საპროექტო დავალების პირობების დაცვა პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით. **2. პროექტის გრაფიკული შესრულების ხარისხი – მაქსიმალური ქულა 4** 2.1. 3.1-4 ქულა – გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი სრულია. იგი სრულად არის დამუშავებული ზომების მითითებით. შესრულებულია მაღალ დონეზე. 2.2. 2.1–3 ქულა – გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი სრულია. იგი სრულად არის დამუშავებული ზომების მითითებით. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ გავლილ მასალას, მაგრამ შესრულების ტექნიკა დასახვეწია. 2.3. 1.1–2 ქულა – გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი არასრულია. იგი სრულად არის დამუშავებული, მაგრამ ზომები არ არის მითითებული. 2.4. 0.1–1 ქულა –გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. მისი მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია დამუშავებული. ზომები არ არის მითითებული. 2.5. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო პროექტის გრაფიკული შესრულება. **3. პროექტის მხატვრულ-ესთეტური და პროფესიული ხარისხი – მაქსიმალური ქულა 4** 3.1. 3.1-4 ქულა – მხატვრულ-ესთეტური თვალსაზრისით პროექტი სრულია და შესრულებულია მაღალ დონეზე. 3.2. 2.1–3 ქულა – მხატვრულ-ესთეტური თვალსაზრისით პროექტი სრულია, მაგრამ პროექტის წარმოდგენის პროფესიული ხარისხი დასახვეწია. 3.3. 1.1–2 ქულა – მხატვრულ-ესთეტური თვალსაზრისით პროექტი არასრულია. ნაწილობრივ არის გათვალისწინებული მასალების ფაქტურა, კოლორისტიკა, ანტურაჟი. 3.4. 0.1–1 ქულა – მხატვრულ-ესთეტური თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. არ არის გათვალისწინებული მასალების ფაქტურა, კოლორისტიკა, ანტურაჟი. 3.5. 0 ქულა – პროექტის მხატვრულ-ესთეტური და პროფესიული შესრულება დაბალია. **4. პროექტის ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი მიზანშეწონილობა – მაქსიმალური ქულა 4** 4.1. 3.1-4 ქულა – ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი სრულია და შესრულებულია მაღალ დონეზე.

	4.2. 2.1–3 ქულა – ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი სრულია, მაგრამ პროექტის წარმოდგენის პროფესიული ხარისხი დასახვეწია. 4.3. 1.1–2 ქულა – ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი არასრულია. ფუნქციისა და ფორმის შესაბამისობა დაცულია, მაგრამ გაუაზრებელია ტექნოლოგიური პროცესი. 4.4. 0.1–1 ქულა – ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. არ არის დაცული ფუნქციისა და ფორმის შესაბამისობა. 4.5. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო პროექტის ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი მიზანშეწონილობის უზრუნველყოფა. **5. პროექტის დაცვის უნარი – მაქსიმალური ქულა 4** 5.1. 3.1-4 ქულა – მსჯელობა გამართული და დამაჯერებელია. პროექტის შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია ამომწურავად, საკითხის საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებით. 5.2. 2.1–3 ქულა – მსჯელობა კარგ დონეზეა. გამოყენებულია პროფესიული ტერმინოლოგია. სტუდენტი ასახავს წარმოდგენილი პროექტის შინაარსს, მაგრამ მოკლებულია დამაჯერებლობას. 5.3. 1.1–2 ქულა – მსჯელობა არასრული და არადამაჯერებელია. არ არის გამოყენებული პროფესიული ტერმინოლოგია. 5.4. 0.1–1 ქულა – მსჯელობა ნაკლოვანია და ფრაგმენტული, ვერ ასახავს წარმოდგენილი პროექტის შინაარსს. 5.5. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო პროექტის დაცვა. მსჯელობა საკითხის შესაბამისი არ არის. **ბ) კლაუზურა – მაქსიმალური ქულა 10** **1. საპროექტო დავალების პირობების დაცვა პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით – მაქსიმალური ქულა 2** 1.1. 1,6-2 ქულა – საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით სრულია. მასშტაბი დაცულია. კომპოზიციური განაწილება კარგია. წარმოდგენილია მაღალ დონეზე. 1.2. 1,1–1,5 ქულა – საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით სრულია. მასშტაბი დაცულია, მაგრამ კომპოზიციური განაწილების მხრივ აღინიშნება ნაკლოვანებები. 1.3. 0,6–1 ქულა – საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით არასრულია. მასშტაბი დაცულია, მაგრამ პროექტის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია გამოხაზული. 1.4. 0,1–0,5 ქულა – საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით ნაკლოვანია. პროექტის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია გამოხაზული. მასშტაბი დარღვეულია. 1.5. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო საპროექტო დავალების პირობების დაცვა პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით. **2. პროექტის გრაფიკული შესრულების ხარისხი – მაქსიმალური ქულა 2** 2.1. 1,6-2 ქულა – გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი სრულია. იგი სრულად არის დამუშავებული ზომების მითითებით, შესრულებულია მაღალ დონეზე.

	2.2. 1,1–1,5 ქულა – გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი სრულია. იგი სრულად არის დამუშავებული ზომების მითითებით. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ გავლილ მასალას, მაგრამ შესრულების ტექნიკა დასახვეწია. 2.3. 0,6–1 ქულა – გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი არასრულია. იგი სრულად არის დამუშავებული, მაგრამ ზომები არ არის მითითებული. 2.4. 0,1–0,5 ქულა –გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. მისი მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია დამუშავებული. ზომები არ არის მითითებული. 2.5. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო პროექტის გრაფიკული შესრულება. **3. პროექტის მხატვრულ-ესთეტური და პროფესიული ხარისხი – მაქსიმალური ქულა 2** 3.1. 1,6-2 ქულა – მხატვრულ-ესთეტური თვალსაზრისით პროექტი სრულია და შესრულებულია მაღალ დონეზე. 3.2. 1,1–1,5 ქულა – მხატვრულ-ესთეტური თვალსაზრისით პროექტი სრულია, მაგრამ პროექტის წარმოდგენის პროფესიული ხარისხი დასახვეწია. 3.3. 0,6–1 ქულა – მხატვრულ-ესთეტური თვალსაზრისით პროექტი არასრულია. ნაწილობრივ არის გათვალისწინებული მასალების ფაქტურა, კოლორისტიკა, ანტურაჟი. 3.4. 0,1–0,5 ქულა – მხატვრულ-ესთეტური თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. არ არის გათვალისწინებული მასალების ფაქტურა, კოლორისტიკა, ანტურაჟი. 3.5. 0 ქულა –მხატვრულ-ესთეტური და პროფესიული დონე დაბალია. **4. პროექტის ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი მიზანშეწონილობა – მაქსიმალური ქულა 2** 4.1. 1,6-2 ქულა – ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი სრულია და შესრულებულია მაღალ დონეზე. 4.2. 1,1–1,5 ქულა – ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი სრულია, მაგრამ პროექტის წარმოდგენის პროფესიული ხარისხი დასახვეწია. 4. 3. 0,6–1 ქულა – ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი არასრულია. ფუნქციის და ფორმის შესაბამისობა დაცულია, მაგრამ გაუაზრებელია ტექნოლოგიური პროცესი. 4.4. 0,1–0,5 ქულა – ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. არ არის დაცული ფუნქციისა და ფორმის შესაბამისობა. 4.5. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო პროექტის ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი მიზანშეწონილობის უზრუნველყოფა. **5. პროექტის დაცვის უნარი – მაქსიმალური ქულა 2** 5.1. 1,6-2 ქულა – მსჯელობა გამართული და დამაჯერებელია. ინფორმაცია გადმოცემულია ამომწურავად, საფუძვლიანი ცოდნის დემონსტრირებით 5.2. 1,1–1,5 ქულა – მსჯელობა კარგ დონეზეა. გამოყენებულია პროფესიული ტერმინოლოგია. ასახავს წარმოდგენილი პროექტის შინაარსს, მაგრამ მოკლებულია დამაჯერებლობას.

	5.3. 0,6–1 ქულა – მსჯელობა არასრული და არადამაჯერებელია. არ არის გამოყენებული პროფესიული ტერმინოლოგია. 5.4. 0,1–0,5 ქულა – მსჯელობა ნაკლოვანია და ფრაგმენტული. ვერ ასახავს წარმოდგენილი პროექტის შინაარსს. 5.5. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო პროექტის დაცვა. მსჯელობა საკითხის შესაბამისი არ არის. **შუალედური გამოცდის ჩატარება ხატვაში.** მაქსიმალური ქულა 20 და შეფასება ხდება შემდეგნაირად: **1. კომპოზიციური განაწილება – მაქსიმალური ქულა 4** 1.1. 2,1–4 ქულა – დასახატი ობიექტი ფორმატზე კომპოზიციურად განაწილებულია მაღალ დონეზე. მასშტაბი დაცულია. 1.2. 0,1–2 ქულა – დასახატი ობიექტის ფორმატზე კომპოზიციური განაწილების მხრივ აღინიშნება ნაკლოვანებები, ვერ გრძნობს მასშტაბს. 1.3. 0 ქულა – ვერ შეძლო დასახატი ობიექტის კომპოზიციური განაწილება. **2. აგება, პროპორციების დაცვა – მაქსიმალური ქულა 4** 2.1. 2,1–4 ქულა – დასახატი ობიექტის აგება შესრულებულია მაღალ დონეზე. პროპორციები დაცულია. 2.2. 0,1–2 ქულა – დასახატი ობიექტის აგების მხრივ აღინიშნება ნაკლოვანებები. სტუდენტი ვერ იცავს პროპორციებს. 2.3. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო დასახატი ობიექტის აგება. **3. მოცულობის გადმოცემა – მაქსიმალური ქულა 4** 3.1. 2,1–4 ქულა – დასახატი ობიექტის მოცულობა გადმოცემულია მაღალ დონეზე. სტუდენტი კარგად გრძნობს ფორმას და ახერხებს მის სიბრტყეზე გადმოტანას. 3.2. 0,1–2 ქულა – დასახატი ობიექტის მოცულობა გადმოცემულია ნაკლოვანებებით. სტუდენტი ვერ ახერხებს ფორმის გადმოცემას სიბრტყეზე. 3.3. 0 ქულა – ვერ შეძლო დასახატი ობიექტის მოცულობის გადმოცემა. **4. ტექნიკა, შესრულების ხარისხი – მაქსიმალური ქულა 4** 4.1. 2,1–4 ქულა – დასახატი ობიექტის შესრულების ხარისხი მაღალია. სტუდენტი კარგად ფლობს ნახატის შესრულების ტექნიკა. 4.2. 0,1–2 ქულა – დასახატი ობიექტის შესრულების ხარისხი ნაკლოვანია. სტუდენტს არ აქვს გამომუშავებული ნახატის შესრულების შესაბამისი ტექნიკა. 4.3. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო დასახატი ობიექტის შესრულება. **5. მხატვრული დამუშავება – მაქსიმალური ქულა 4** 5.1. 2,1–4 ქულა – დასახატი ობიექტი დამუშავებულია კარგ მხატვრულ დონეზე. 5.2. 0,1–2 ქულა – დასახატი ობიექტის მხატვრული დამუშავება ნაკლოვანია. სტუდენტი ვერ ახერხებს ნახატის ერთ მთლიანობად შეკვრას. 5.3. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო დასახატი ობიექტის მხატვრული დამუშავება. **შუალედური გამოცდის ჩატარება ძერწვაში.** მაქსიმალური ქულა 20 და შეფასება ხდება შემდეგნაირად:

	1. კომპოზიციური ჩანახატი – მაქსიმალური ქულა 4 2.1–4.0 ქულა – საძერწი ობიექტის კომპოზიციური ჩანახატი შესრულებულია მაღალ დონეზე. მასშტაბი დაცულია. 0.1–2.0 ქულა – საძერწი ობიექტის კომპოზიციური ჩანახატი შესრულების თვალსაზრისით ნაკლოვანია. სტუდენტი ვერ გრძნობს მასშტაბს. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო საძერწი ობიექტის კომპოზიციური ჩანახატის შესრულება. **2. კარკასის აგება – მაქსიმალური ქულა 4** 2.1–4.0 ქულა – საძერწი ობიექტის კარკასი აგებულია მაღალ დონეზე. ტექნიკური მხარე გამართულია. 0.1–2.0 ქულა – საძერწი ობიექტის კარკასის აგების მხრივ აღინიშნება ნაკლოვანებები. სტუდენტი ვერ ფლობს შესრულების ტექნიკას. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო საძერწი ობიექტის კარკასის აგება. **3. კარკასზე პროპორციებისა და მასების განლაგება – მაქსიმალური ქულა 4** 2.1–4.0 ქულა – საძერწი ობიექტის პროპორციებისა და მასების განლაგება კარკასზე შესრულებულია მაღალ დონეზე. სტუდენტი კარგად გრძნობს პროპორციებს და ახერხებს მის გადმოცემას დარღვევების გარეშე. 0.1–2.0 ქულა – საძერწი ობიექტის პროპორციებისა და მასების კარკასზე განლაგების მხრივ აღინიშნება ნაკლოვანებები. სტუდენტი ვერ ახერხებს ობიექტის პროპორციების გადმოცემას. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო საძერწი ობიექტის პროპორციებისა და მასების განლაგება კარკასზე. **4. ფორმის ძერწვის ხარისხი – მაქსიმალური ქულა 4** 2.1–4.0 ქულა – ობიექტის ფორმის ძერწვის ხარისხი მაღალია. სტუდენტი კარგად გრძნობს ფორმას. 0.1–2.0 ქულა – ობიექტის ფორმის ძერწვის ხარისხი ნაკლოვანია. სტუდენტს არ აქვს კარგად განვითარებული ფორმის შეგრძნება. 0 - ქულა – ვერ შეძლო ფორმის გადმოცემა. **5. პლასტიკა და მხატვრულობა – მაქსიმალური ქულა 4** 2.1–4.0 ქულა – საძერწი ობიექტის პლასტიკა და მხატვრულობა წარმოდგენილია მაღალ დონეზე. 0.1–2.0 ქულა – საძერწი ობიექტის პლასტიკა და მხატვრულობა ნაკლოვანია. სტუდენტი სრულად ვერ ახერხებს ობიექტის პლასტიკის გადმოცემას. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შესძლო საძერწი ობიექტის მხატვრული დამუშავება.
დასკვნითი/დამატებითი გამოცდა	დასკვნით გამოცდაზე სტუდენტს მოეთხოვება გავლილი მასალის ცოდნის გამოვლენა. შემოწმება ხდება სხვადასხვა ფორმით: ტესტის (ღია ან დახურული კითხვები), მაგალითების, ამოცანების ან კაზუსების ამოხსნით, თეორიული საკითხების განმარტებით, საკურსო სამუშაოს/პროექტის, პრაქტიკის ანგარიშის წარმოდგენით, ნახატის, ნახაზის შესრულებით და სხვ. გამოცდაზე შეიძლება გამოყენებული იქნას ერთი მეთოდი ან მათი კომბინაცია. გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 30 ქულა. **გამოცდა დახურული კითხვებიანი ტესტით**. თუ იგი მოიცავს 10, 15 ან 30 მაგალითს, სწორად ამოხსნილი თითოეული მათგანი ფასდება შესაბამისად 3, 2 ან 1 ქულით, არასწორი პასუხის შემთხვევაში შეფასება შეადგენს 0 ქულას. თითოეულ მაგალითს აქვს რამდენიმე სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

	გამოცდა ღია კითხვებიანი ტესტით ან საკითხებით. იგი მოიცავს რანდენიმე საკითხს. თუ იგი შედგება სამი საკითხისგან, თითოეულ საკითხს მინიჭებული ექნება 10 ქულა. თითოეული საკითხის შეფასების კრიტერიუმებია: 1. 9-10 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; სპეციალური ტერმინოლოგია დაცულია; სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი ისე დამხმარე ლიტერატურა. ანგარიში ჩატარებულია სრულყოფილად, გრაფიკული ნაწილი გაფორმებულია სტანდარტების დაცვით. 2. 7-8 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ გავლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. 3. 5-6 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; სპეციალური ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები. 4. 3-4 ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა. 5. 1-2 ქულა: პასუხი ნაკლოვანია; სპეციალური ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. 6. 0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული. **თუ საგნის სპეციფიკა მოითხოვს ანგარიშის ან გრაფიკული ნაწილის შეფასებასაც,** მას მიენიჭება 10 ქულა და შეფასების კრიტერიუმებია: 1. 9-10 ქულა: ანგარიში ჩატარებულია სრულყოფილად, გრაფიკული ნაწილი გაფორმებულია სტანდარტების დაცვით. 2. 7-8 ქულა: ანგარიში ჩატარებულია სრულყოფილად, გრაფიკული ნაწილი დასახვეწია. 3. 5-6 ქულა: ანგარიში დასამთავრებელია, გრაფიკული ნაწილი დასახვეწია. 4. 3-4 ქულა: აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა როგორც ანგარიშში, ასევე გრაფიკულ ნაწილში. 5. 1-2 ქულა: ანგარიში და გრაფიკული ნაწილი არსებითად მცდარია. 6. 0 ქულა: ნაშრომი არ არის შესრულებული. **საკურსო პროექტი – მაქსიმალური ქულა 30** **1. საპროექტო დავალების პირობების დაცვა პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით – მაქსიმალური ქულა 6** 1.1. 4.6-6.0 ქულა – საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით სრულია. მასშტაბი დაცულია. კომპოზიციური განაწილება კარგია. წარმოდგენილია მაღალ დონეზე. 1.2. 3.1–4.5 ქულა – საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით სრულია. მასშტაბი დაცულია, მაგრამ კომპოზიციური განაწილების მხრივ აღინიშნება ნაკლოვანებები.

	1.3. 1.6–3.0 ქულა – საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით არასრულია. მასშტაბი დაცულია, მაგრამ პროექტის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია გამოხაზული. 1.4. 0.1–1.5 ქულა – საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით ნაკლოვანია. პროექტის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია გამოხაზული. მასშტაბი დარღვეულია. 1.5. 0 ქულა – ვერ შესძლო საპროექტო დავალების პირობების დაცვა პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით. **2. პროექტის გრაფიკული შესრულების ხარისხი – მაქსიმალური ქულა 6** 2.1. 4.6-6.0 ქულა – გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი სრულია. იგი სრულად არის დამუშავებული ზომების მითითებით. შესრულებულია მაღალ დონეზე 2.2. 1–4.5 ქულა – გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი სრულია. იგი სრულად არის დამუშავებული ზომების მითითებით. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, მაგრამ შესრულების ტექნიკა დასახვეწია. 2.3. 1.6–3.0 ქულა – გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი არასრულია. იგი სრულად არის დამუშავებული, მაგრამ ზომები არ არის მითითებული. 2.4. 0.1–1.5 ქულა –გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. მისი მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია დამუშავებული. ზომები არ არის მითითებული. 2.5. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო პროექტის გრაფიკული შესრულება. **3. პროექტის მხატვრულ-ესთეტური და პროფესიული ხარისხი – მაქსიმალური ქულა 6** 3.1. 4.6-6.0 ქულა – მხატვრულ-ესთეტური თვალსაზრისით პროექტი სრულია და შესრულებულია მაღალ დონეზე. 3.2. 3.1–4.5 ქულა – მხატვრულ-ესთეტური თვალსაზრისით პროექტი სრულია, მაგრამ პროექტის წარმოდგენის პროფესიული ხარისხი დასახვეწია. 3.3. 1.6–3.0 ქულა – მხატვრულ-ესთეტური თვალსაზრისით პროექტი არასრულია. ნაწილობრივ არის გათვალისწინებული მასალების ფაქტურა, კოლორისტიკა, ანტურაჟი. 3.4. 0.1–1.5 ქულა – მხატვრულ-ესთეტური თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. არ არის გათვალისწინებული მასალების ფაქტურა, კოლორისტიკა, ანტურაჟი. 3.5. 0 ქულა – პროექტის მხატვრულ-ესთეტური და პროფესიული შესრულება დაბალია. **4. პროექტის ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი მიზანშეწონილობა – მაქსიმალური ქულა 6** 4.1. 4.6-6.0 ქულა – ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი სრულია და შესრულებულია მაღალ დონეზე. 4.2. 3.1–4.5 ქულა – ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი სრულია, მაგრამ პროექტის წარმოდგენის პროფესიული ხარისხი დასახვეწია. 4.3. 1.6–3.0 ქულა – ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი

	გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი არასრულია. ფუნქციის და ფორმის შესაბამისობა დაცულია, მაგრამ გაუაზრებელია ტექნოლოგიური პროცესი. 4.4. 0.1–1.5 ქულა – ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. არ არის ფუნქციის და ფორმის შესაბამისობა. 4.5. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შესძლო პროექტის ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი მიზანშეწონილობის უზრუნველყოფა. **5. პროექტის გაფორმება და დაცვა – მაქსიმალური ქულა 6** 5.1. 4.6-6.0 ქულა – პროექტი შესრულებულია მაღალ დონეზე. მსჯელობა გამართული და დამაჯერებელია. ინფორმაცია გადმოცემულია ამომწურავად, საკითხის საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებით. 5.2. 3.1–4.5 ქულა – პროექტის გაფორმებულია კარგად. მსჯელობა კარგ დონეზეა. გამოყენებულია პროფესიული ტერმინოლოგია. ასახავს წარმოდგენილი პროექტის შინაარსს, მაგრამ მოკლებულია დამაჯერებლობას. 5.3. 1.6–3.0 ქულა – პროექტის გაფორმება დამაკმაყოფილებელია. მსჯელობა არასრული და არადამაჯერებელია. არ არის გამოყენებული პროფესიული ტერმინოლოგია. 5.4. 0.1–1.5 ქულა – პროექტი გაფორმების თვალსაზრისით არასრულია. მსჯელობა ნაკლოვანია და ფრაგმენტული. ვერ ასახავს წარმოდგენილი პროექტის შინაარსს. 5.5. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო პროექტის გაფორმება და დაცვა. მსჯელობა საკითხის შესაბამისი არ არის. **საკურსო პროექტი – მაქსიმალური ქულა 15** (როცა საგნის ფორმატით გათვალისწინებულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მეცადინეობა) **1. საპროექტო დავალების პირობების დაცვა პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით – მაქსიმალური ქულა 3** 1.1. 2.3-3.0 ქულა – საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით სრულია. მასშტაბი დაცულია. კომპოზიციური განაწილება კარგია. წარმოდგენილია მაღალ დონეზე. 1.2. 1.5–2.2 ქულა – საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით სრულია. მასშტაბი დაცულია, მაგრამ კომპოზიციური განაწილების მხრივ აღინიშნება ნაკლოვანებები. 1.3. 0.8–1.4 ქულა – საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით არასრულია. მასშტაბი დაცულია, მაგრამ პროექტის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია გამოხაზული. 1.4. 0.1–0.7 ქულა – საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით ნაკლოვანია. პროექტის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია გამოხაზული. მასშტაბი დარღვეულია. 1.5. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო საპროექტო დავალების პირობების დაცვა პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით. **2. პროექტის გრაფიკული შესრულების ხარისხი – მაქსიმალური ქულა 3** 2.1. 2.3-3.0 ქულა – გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი სრულია. იგი სრულად არის დამუშავებული ზომების მითითებით. შესრულებულია მაღალ დონეზე

	2.2. 1.5–2.2 ქულა – გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი სრულია. იგი სრულად არის დამუშავებული ზომების მითითებით. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ გავლილ მასალას, მაგრამ შესრულების ტექნიკა დასახვეწია. 2.3. 0.8–1.4 ქულა – გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი არასრულია. იგი სრულად არის დამუშავებული, მაგრამ ზომები არ არის მითითებული. 2.4. 0.1–0.7 ქულა –გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. მისი მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია დამუშავებული. ზომები არ არის მითითებული. 2.5. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო პროექტის გრაფიკული შესრულება. **3. პროექტის მხატვრულ-ესთეტური და პროფესიული ხარისხი – მაქსიმალური ქულა 3** 3.1. 2.3-3.0 ქულა – მხატვრულ-ესთეტური თვალსაზრისით პროექტი სრულია და შესრულებულია მაღალ დონეზე. 3.2. 1.5–2.2 ქულა – მხატვრულ-ესთეტური თვალსაზრისით პროექტი სრულია, მაგრამ პროექტის წარმოდგენის პროფესიული ხარისხი დასახვეწია. 3.3. 0.8–1.4 ქულა – მხატვრულ-ესთეტური თვალსაზრისით პროექტი არასრულია. ნაწილობრივ არის გათვალისწინებული მასალების ფაქტურა, კოლორისტიკა, ანტურაჟი. 3.4. 0.1–0.7 ქულა – მხატვრულ-ესთეტური თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. არ არის გათვალისწინებული მასალების ფაქტურა, კოლორისტიკა, ანტურაჟი. 3.5. 0 ქულა – პროექტის მხატვრულ-ესთეტური და პროფესიული შესრულება დაბალია. **4. პროექტის ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი მიზანშეწონილობა – მაქსიმალური ქულა 3** 4.1. 2.3-3.0 ქულა – ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი სრულია და შესრულებულია მაღალ დონეზე. 4.2. 1.5–2.2 ქულა – ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი სრულია, მაგრამ პროექტის წარმოდგენის პროფესიული ხარისხი დასახვეწია. 4.3. 0.8–1.4 ქულა – ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი არასრულია. ფუნქციის და ფორმის შესაბამისობა დაცულია, მაგრამ გაუაზრებელია ტექნოლოგიური პროცესი. 4.4. 0.1–0.7 ქულა – ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. არ არის ფუნქციის და ფორმის შესაბამისობა. 4.5. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო პროექტის ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი მიზანშეწონილობის უზრუნველყოფა. **5. პროექტის დაცვის უნარი – მაქსიმალური ქულა 3** 5.1. 2.3-3.0 ქულა – მსჯელობა გამართული და დამაჯერებელია. პროექტის შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია ამომწურავად, საკითხის საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებით

	5.2. 1.5–2.2 ქულა – მსჯელობა კარგ დონეზეა. გამოყენებულია პროფესიული ტერმინოლოგია. ასახავს წარმოდგენილი პროექტის შინაარსს, მაგრამ მოკლებულია დამაჯერებლობას. 5.3. 0.8–1.4 ქულა – მსჯელობა არასრული და არადამაჯერებელია. არ არის გამოყენებული პროფესიული ტერმინოლოგია. 5.4. 0.1–0.7 ქულა – მსჯელობა ნაკლოვანია და ფრაგმენტული. ვერ ასახავს წარმოდგენილი პროექტის შინაარსს. 5.5. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო პროექტის დაცვა. მსჯელობა საკითხის შესაბამისი არ არის. **ნახატი – მაქსიმალური ქულა 30** **1. კომპოზიციური განაწილება – მაქს. ქულა 5** 1.1. 2.6-5.0 ქულა – დასახატი ობიექტი ფორმატზე კომპოზიციურად განაწილებულია მაღალ დონეზე. მასშტაბი დაცულია. 1.2. 0.1–2.5 ქულა – დასახატი ობიექტის ფორმატზე კომპოზიციური განაწილების მხრივ აღინიშნება ნაკლოვანებები. სტუდენტი ვერ გრძნობს მასშტაბს. 1.3. 0 ქულა – ვერ შესძლო დასახატი ობიექტის კომპოზიციური განაწილება. **2. აგება, პროპორციების დაცვა – მაქსიმალური ქულა 5** 2.1. 2.6-5.0 ქულა – დასახატი ობიექტის აგება შესრულებულია მაღალ დონეზე. პროპორციები დაცულია. 2.2. 0.1–2.5 ქულა – დასახატი ობიექტის აგების მხრივ აღინიშნება ნაკლოვანებები. სტუდენტი ვერ იცავს პროპორციებს. 2.3. 0 ქულა – სტუდენტმს ვერ შეძლო დასახატი ობიექტის აგება. **3. მოცულობის გადმოცემა – მაქსიმალური ქულა 5** 3.1. 2.6-5.0 ქულა – დასახატი ობიექტის მოცულობა გადმოცემულია მაღალ დონეზე. სტუდენტი კარგად გრძნობს ფორმას და ახერხებს მის სიბრტყეზე გადმოტანას. 3.2. 0.1–2.5 ქულა – დასახატი ობიექტის მოცულობის გადმოცემის მხრივ აღინიშნება ნაკლოვანებები. სტუდენტი ვერ ახერხებს ფორმის გადმოცემას სიბრტყეზე. 3.3. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო დასახატი ობიექტის მოცულობის გადმოცემა. **4. ტექნიკა, შესრულების ხარისხი – მაქსიმალური ქულა 5** 4.1. 2.6-5.0 ქულა – დასახატი ობიექტის შესრულების ხარისხი მაღალია. სტუდენტი კარგად ფლობს ნახატის შესრულების ტექნიკა. 4.2. 0.1–2.5 ქულა – დასახატი ობიექტის შესრულების ხარისხი ნაკლოვანია. სტუდენტს არ აქვს გამომუშავებული ნახატის შესრულების შესაბამისი ტექნიკა. 4.3. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო დასახატი ობიექტის შესრულება. **5. მხატვრული დამუშავება – მაქსიმალური ქულა 5** 5.1. 2.6-5.0 ქულა – დასახატი ობიექტი დამუშავებულია კარგ მხატვრულ დონეზე. 5.2. 0.1–2.5 ქულა – დასახატი ობიექტის მხატვრული დამუშავება ნაკლოვანია. სტუდენტი ვერ ახერხებს ნახატის ერთ მთლიანობად შეკვრას.

	5.3. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო დასახატი ობიექტის მხატვრული დამუშავება. **6. ნამუშევრის დაცვის უნარი – მაქსიმალური ქულა 5** 6.1. 2.6-5.0 ქულა – მსჯელობა გამართული და დამაჯერებელია. ტერმინოლოგია დაცულია. ნახატის შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია ამომწურავად, საკითხის საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებით. 6.2. 0.1–2.5 ქულა – მსჯელობა არასრულია. არ არის გამოყენებული პროფესიული ტერმინოლოგია. 6.3. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო ნამუშევრის დაცვა. მსჯელობა ნახატის შესაბამისი არ არის. **ნაძერწი – მაქსიმალური ქულა 30** **1. კომპოზიციური ჩანახატი – მაქს. ქულა 5** 1.1. 2.6-5.0 ქულა – საძერწი ობიექტის კომპოზიციური ჩანახატი შესრულებულია მაღალ დონეზე. მასშტაბი დაცულია. 1.2. 0.1–2.5 ქულა – საძერწი ობიექტის კომპოზიციური ჩანახატი შესრულების თვალსაზრისით ნაკლოვანია. სტუდენტი ვერ გრძნობს მასშტაბს. 1.3. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო საძერწი ობიექტის კომპოზიციური ჩანახატის შესრულება. **2. კარკასის აგება – მაქსიმალური ქულა 5** 2.1. 2.6-5.0 ქულა – საძერწი ობიექტის კარკასის აგება შესრულებულია მაღალ დონეზე. ტექნიკური მხარე გამართულია. 2.2. 0.1–2.5 ქულა – საძერწი ობიექტის კარკასის აგების მხრივ აღინიშნება ნაკლოვანებები. სტუდენტი ვერ ფლობა შესრულების ტექნიკას. 2.3. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო საძერწი ობიექტის კარკასის აგება. **3. კარკასზე პროპორციებისა და მასების განლაგება – მაქსიმალური ქულა 5** 3.1. 2.6-5.0 ქულა – საძერწი ობიექტის პროპორციებისა და მასების განლაგება კარკასზე შესრულებულია მაღალ დონეზე. სტუდენტი კარგად გრძნობს პროპორციებს და ახერხებს მის გადმოცემას დარღვევების გარეშე. 3.2. 0.1–2.5 ქულა – საძერწი ობიექტის პროპორციებისა და მასების კარკასზე განლაგების მხრივ აღინიშნება ნაკლოვანებები. სტუდენტი ვერ ახერხებს ობიექტის პროპორციების გადმოცემას. 3.3. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო საძერწი ობიექტის პროპორციებისა და მასების განლაგება კარკასზე. **4. ფორმის ძერწვის ხარისხი – მაქსიმალური ქულა 5** 4.1. 2.6-5.0 ქულა – ობიექტის ფორმის ძერწვის ხარისხი მაღალია. სტუდენტი კარგად გრძნობს ფორმას. 4.2. 0.1–2.5 ქულა – ობიექტის ფორმის ძერწვის ხარისხი ნაკლოვანია. სტუდენტს არ აქვს კარგად განვითარებული ფორმის შეგრძნება. 4.3. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო ფორმის გადმოცემა. **5. პლასტიკა და მხატვრულობა – მაქსიმალური ქულა 5** 5.1. 2.6-5.0 ქულა – საძერწი ობიექტის პლასტიკა და მხატვრულობა წარმოდგენილია მაღალ დონეზე.

	5.2. 0.1–2.5 ქულა – საძერწი ობიექტის პლასტიკა და მხატვრულობა ნაკლოვანია. სტუდენტი სრულად ვერ ახერხებს ობიექტის პლასტიკის გადმოცემას. 5.3. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო საძერწი ობიექტის მხატვრული დამუშავება. **6. ნამუშევრის დაცვის უნარი – მაქსიმალური ქულა 5** 6.1. 2.6-5.0 ქულა – მსჯელობა გამართული და დამაჯერებელია. ტერმინოლოგია დაცულია. ნაძერწის შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია ამომწურავად, საკითხის საფუძვლიანი ცოდნით. 6.2. 0.1–2.5 ქულა – მსჯელობა არასრულია. არ არის გამოყენებული პროფესიული ტერმინოლოგია. 6.3. 0 ქულა – სტუდენტმა ვერ შეძლო ნამუშევრის დაცვა.
ზემოთ მოყვანილია სტუდენტთა ცოდნის შეფასების შესაძლო ვარიანტები. სილაბუსის ავტორი თავად ირჩევს შესაბამის ვარიანტ(ებ)ს. *** მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების შეფასების განსხვავებული წესები მოცემულია ცალკე დოკუმენტებში** http://gtu.ge/study/scavleba/samag_Sefas.pdf: http://gtu.ge/study/scavleba/sadoqt_Sefas.pdf	